განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადებულია საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და განისაზღვრება 2021 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლები.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის საქართველოს მთავრობის მიერ მომზადება და საქართველოს პარლამენტის მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 38-ე მუხლის შესაბამისად, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

2020 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია. როგორც „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტისთვის პირველი წარდგენისას, განმარტებით ბარათში იყო აღნიშნული, 2020 წლის აპრილში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF) განახლებულ „მსოფლიო ეკონომიკურ მიმოხილვაში“ 2020 წლის მსოფლიო ეკონომიკური ზრდის პროგნოზი განსაზღვრა -3.0 პროცენტით, თუმცა იქვე იყო ნახსენები, რომ მსოფლიო ეკონომიკაში არსებული გაურკვევლობიდან გამომდინარე წლის განმავლობაში კიდევ რამდენჯერმე მოხდებოდა პროგნოზების გადახედვა. 2020 წლის ოქტომბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებული მსოფლიო მიმოხილვის თანახმად გლობალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი (-4.4)%-ით არის პროგნოზირებული, ხოლო საქართველოს რეალური მშპ-ის პროგნოზი შემცირდა (-5)%-მდე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის გლობალური მიმოხილვის მიხედვით 2021 წლისათვის საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5%-ის, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში 5.5%-ის ფარგლებში განისაზღვრა.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2020 წლის სექტემბრიდან საქართველოში, ისევე როგორც ევროპის და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში COVID-19-ის პანდემიის გავრცელება და შემთხვევათა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ასევე რეგიონში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობა აქტიურად აგრძელებდა მუშაობას ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების ანალიზსა და პროგნოზების განახლებაზე. ასევე მუშაობა მიმდინარეობდა COVID-19-

ის გავრცელებასთან დაკავშირებით, ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით განსახორციელებელ ღონისძიებებზე და ეკონომიკური ზრდის შენელებიდან გამომდინარე სოციალური თუ ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებების საჭიროებების დაფინანსებაზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, პროგრამის მე-7 მიმოხილვის ფარგლებში კიდევ ერთხელ გადაიხედა მაკრო-ეკონომიკური და ფისკალური პროგნოზები და მისიასთან მიღწეული იქნა შეთანხმება ძირითად მაჩვენებლებზე.

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

მთლიანი შიდა პროდუქტი

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული 2020 წელს COVID-19 პანდემიის გავრცელებიდან გამომდინარე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მაჩვენებელი, მიმდინარე წლის მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირების ტენდენციები და საშუალოვადიან პერიოდთან მიმართებაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზები როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიო ეკონომიკის და რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური ტენდენციების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ მომდევნო 4 წლიან პერიოდში მსოფლიო ეკონომიკაში შესაძლებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდეს და რა თქმა უნდა ის ვერ იქნება პანდემიამდე არსებული ეკონომიკის იდენტური. ბოლო წლებში ბიუჯეტთან ერთად მუდმივად მზადდებოდა ფისკალური რისკების დოკუმენტი, სადაც გაანალიზებული იყო ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე მოქმედი რეგიონული, გეოპოლიტიკური და სხვადასხვა რისკები, თუმცა პანდემიიდან გამომდინარე მომდევნო პერიოდში გაზრდილია როგორც ამ რისკების მატერიალიზაციის ალბათობა, ასევე ტრადიციულად არსებულ რისკებს ემატება პანდემიის გამწვავების რისკი, გლობალური ტურიზმის სენტიმენტების შემცირების რისკი, გლობალური ვალის ზრდიდან გამომდინარე და სხვა რისკები, რომელთა მატერიალიზაციამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ საქართველოს ეკონომიკურ პარამეტრებზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად ჩაითვალა 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი და 2021-2024 წლების საშუალოვადიანი პროგნოზების საბაზისო სცენარი დაფუძნებული იყოს შედარებით კონსერვატიულ პროგნოზებზე.

2020 წლის ბიუჯეტი დაგეგმილი იყო ეკონომიკის რეალური ზრდის 4.5% ფარგლებში პროგნოზირებულ მაჩვენებელზე, თუმცა COVID-19 პანდემიის გავრცელებიდან გამომდინარე „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების განხორციელებისას 2020 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილება განისაზღვრა (-4)%-ით. თუმცა 2020 წლის ეკონომიკური ზრდის წინასწარი მაჩვენებლები ეკონომიკის კლების უფრო მაღალ მაჩვენებელს მიანიშნებენ. 2020 წლის 9 თვის საშუალო მშპ-ის ცვლილებამ შეადგინა (-5)%, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ პირველ კვარტალში ზრდა დაფიქსირდა 2.2%, მეორე კვარტალში კლებამ შეადგინა 12.3%, ხოლო მესამე კვარტალში - 3.8%. ოქტომბერ-ნოემბერში COVID-19 შემთხვევების მნიშვნელოვანი ზრდისა და მიმდინარე წლის 28 ნოემბრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგების საქმიანობის შეზღუდვა ეკონომიკურ ზრდაზე ნეგატიური გავლენას აგრძელებს. ზემოაღნიშნულის და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გამართული კონსულტაციების გათვალისწინებით 2020 წელს მოსალოდნელია მშპ-ის კლება 5.0%-ის ფარგლებში.

არსებული პროგნოზების მიხედვით, 2021 წლისათვის მოსალოდნელია მშპ-ის რეალური ზრდა 4.3%-ის ფარგლებში, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში საშუალოდ 5.5%-ის ფარგლებში შენარჩუნდება.

მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 2020 წელს მოსალოდნელია 5.5%-ის ფარგლებში, 2021 წელს პროგნოზირებულია 3,8%-ის ფარგლებში, ხოლო შემდგომ წლებში 3%-ის ფარგლებში. რაც შეეხება ინფლაციის მაჩვენებელს, 2020 წლისათვის მოსალოდნელია 3.5%-ის ფარგლებში, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში პროგნოზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნობრივი ინფლაციის ფარგლებში და შეადგენს 3,0%-ს.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, 2020 წლის ნომინალური მშპ 49.4 მლრდ ლარით განისაზღვრა, 2021 წლის ნომინალური მშპ-ს მოცულობა 53.4 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო 2024 წლისთვის პროგნოზირებულია მისი გაზრდა 68.6 მლრდ ლარამდე.

ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

არსებული მაკროეკონომიკური პროგნოზების გათვალისწინებით, 2020 წელს COVID-19 პანდემიის გავრცელებიდან გამომდინარე საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი შეადგენს 11 050.0 მლნ ლარს. 2021 წლის განახლებული პროგნოზი კი ნომინალურ გამოხატულებაში შეადგენს 12 045.0 მლნ ლარს, რაც 155 მლნ ლარით ნაკლებია 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით. კლება განაპირობებულია ანტიკრიზისული გეგმის ახალი ეტაპის ფარგლებში კერძო სექტორისათვის გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათების ეფექტით.

საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 581.0 მლნ ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 3 315.0 მლნ ლარს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების წილი 266.0 მლნ ლარს; აღნიშნულ საპროგნოზო მაჩვენებელში 220,0 მლნ ლარის ოდენობით გათვალისწინებულია კერძო სექტორის საგადასახადო შეღავათი, კერძოდ ის პირები, რომელთა ხელფასი არ აღემატება 1500 ლარს, 750 ლარზე მიიღებენ საგადასახადო შეღავათს 2021 წლის მაისის ჩათვლით.

- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 951.0 მლნ ლარით;

- დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5 367.0 მლნ ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 4 347.3 მლნ ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტების წილი 1 019.7 მლნ ლარს (მუნიციპალიტეტების დღგ 2020 წელთან შედარებით იზრდება 139 მლნ ლარით);

- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 582.0 მლნ ლარის ოდენობით;

- იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 77.0 მლნ ლარით;

- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 417.0 მლნ ლარს, მათ შორის გათვალისწინებულია ტურიზმის სექტორის საგადასახადო შეღავათი 45,0 მლნ ლარის ოდენობით;

- სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 70.0 მლნ ლარით;

ამასთან, 2021 წელს აქტიურად გაგრძელდება წარმოქმნილი ზედმეტად გადახდილი გადასახადების (ძირითადად დღგ) დაბრუნების პროცესი და მოსალოდნელია რომ 2021 წელს დაბრუნდება 1 მილიარდ ლარამდე. 2020 წლის მიმდინარე პერიოდში უკვე დაბრუნებულია 600 მილიონ ლარზე მეტი და მოსალოდნელია, რომ წლის ბოლომდე დაბრუნდება 1 მილიარდ ლარზე მეტი.

საბიუჯეტო დეფიციტი

2020 წელს მიმდინარე პანდემიის ფონზე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით დეფიციტი 2.5%-დან 8.5%-მდე გაიზრდა. თუმცა COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების ფონზე 2020 წლის დეფიციტი მოსალოდნელია, რომ მშპ-ის 9.1%-მდე გაიზრდება. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დეფიციტი (რომელიც ეყრდნობა GFSM 2014 კლასიფიკაციას) 2021 წელს ნაერთი ბიუჯეტისათვის შეადგენს მშპ-თან მიმართებაში 7.5%-ს, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის ფარლებში ფისკალური ჩარჩოს ინდიკატორად გამოიყენება მოდიფიცირებული დეფიციტი, რომელიც GFSM 2014 კლასიფიკაციისგან განსხვავებით ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებსაც განიხილავს, როგორც დეფიციტის ფორმირების წყაროს. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, 2021 წლის დეფიციტი განისაზღვრება მშპ-თან მიმართებაში 7.6%-ის ფარგლებში. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო განსაზღვრულია 4 131.9 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 7.7% (კანონით განსაზღვრული ზღვარი მშპ-ის 3% შეადგენს). აღნიშნული პარამეტრი ნაერთ ბიუჯეტთან ერთად ასევე ითვალისწინებს სახელმწიფო ორგანოების მიერ დაფუძნებული სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლებიდან განხორციელებული ოპერაციების შედეგებს.

გასათვალისწინებელია, რომ 2020 წელს, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გავრცელებიდან გამომდინარე საქართველოში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და შესაბამისად ამუშავდა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის (საგანგებო მდგომარეობა) პირობა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პანდემიით გამოწვეულია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე 2020 წლის მე-2 კვარტლის წინასაწარი მონაცემებით მშპ-ის კლება დაფიქსირდა 12.3%-ის, ხოლო მე-3 კვარტლის კლება - 3.8%-ის ფარგლებში, ასევე დადგა მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის (რეცესია) ამოქმედების პირობაც. აღნიშნულ პირობების დადგომიდან გამომდინარე, ორგანული კანონით დადგენილ ზღვარს ზემოთ ბიუჯეტის დეფიციტის განსაზღვრა არ წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვების დარღვევას და თანდართული საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩო ითვალისწინებს მშპ-ის 3%-იან ნიშნულზე დაბრუნებას 2023 წლისათვის (კანონმდებლობით დაშვებულია 3 წლიანი პერიოდი ზღვრულ პარამეტრებში დაბრუნებისათვის).

მთავრობის ვალი

2021 წლის ბოლოსათვის „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მთავრობის ვალი (არ მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის ვალს და მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აღებულ ვალს) განისაზღვრება მშპ-ის 60.1%-ის ოდენობით, ხოლო 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მთლიანი მოცულობის მიმდინარე ღირებულების (მშპ-ის 0.7%) გათვალისწინებით, შეადგენს 60.8%-ს (კანონით განსაზღვრული ზღვარი მშპ-ის 60% შეადგენს).

რაც შეეხება სახელმწიფო ვალის ზღვრულ მოცულობას, 2021 წლის ბოლოსათვის იგი განისაზღვრება 33 680.1 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის, სახელმწიფო საგარეო ვალი – 27 734.2 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო სახელმწიფო საშინაო ვალი – 5 945.8 მლნ ლარის ოდენობით.

მომდევნო წლებში ვალი მცირედით შემცირდება და 2024 წლისთვის მშპ-ს 57.6% პროცენტი იქნება.

მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ტენდენციები

წარმოდგენილ ვერსიაში ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფო პენსიის ინდექსირებით ზრდა (210.0 მლნ ლარი), ასევე დაგეგმილი საჯარო სკოლების მასწავლებელთა ხელფასების ზრდა. წარმოდგენილ ვერსიაში ასახულია COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის ფარგლებში ჯანმრთელობის დაცვის, მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ეკონომიკის ხელშეწყობის ღონისძიებები (მშპ-ის 1.7%). შესაბამისად, 2021 წლისთვის მიმდინარე ხარჯები შეადგენს მშპ-ს 25.1% (2020 წელს პანდემიის გათვალისწინებით ეს მაჩვენებელი შეადგენს 26.2%-ს). საშუალოვადიან პერიოდში ხარჯები შემცირდება მშპ-ის 22.2%-მდე ფარგლებში. 2019-2020 წლებში დაწყებული ისეთი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების აქტიურ ფაზაში შესვლიდან გამომდინარე, როგორიცაა აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალი და ჩრდილოეთ-სამხრეთი მიმართულება, 2021 წელს კაპიტალური ხარჯების წილი მშპ-სთან მიმართებაში 7.9 %-ს შეადგენს, თუმცა დეფიციტის შემცირების პარალელურად მომდევნო წლებშიც კაპიტალური ხარჯების 8%-ის ფარგლებში შენარჩუნება გამოწვევად რჩება.

წარმოდგენილი საბაზისო სცენარის მიხედვით კაპიტალური ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში მცირდება, თუმცა აუცილებელია აქტიური მუშაობა დამატებითი არადეფიციტური რესურსების მობილიზებაზე, რამაც საშუალება უნდა მოგვცეს კაპიტალური ხარჯები შენარჩუნდეს მშპ-ს 8%-იან ნიშნულთან ახლოს.

ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები

ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი ანტიკრიზისული გეგმის შესაბამისად ჯამურად ითვალისწინებს 1 420.0 მლნ ლარს, მათ შორის 2020 წელს 280 მლნ ლარი, ხოლო 2021 წელს 1 140 მლნ ლარს, კერძოდ:

- ჯანდაცვის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 450,0 მლნ ლარი, მათ შორის 400,0 მლნ ლარი ჯანდაცვის სამინისტროს ასიგნებებში, ხოლო 50,0 მლნ ლარი ეკონომიკის სამინისტროს ასიგნებებში;
    - ჯანდაცვის სამინისტროსთვის განსაზღვრული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც დაავადებულთა მკურნალობის ხარჯები, ასევე ტესტები, ვაქცინის შესყიდვასთან და გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული ხარჯები
- მოქალაქეთა სოციალური მხარდაჭერისთვის გათვალისწინებულია 540,0 მლნ ლარამდე, საიდანაც 230,0 მლნ ლარამდე მიმართული იქნება 2020 წელს (კომუნალური ხარჯების სუბსიდირებისთვის და ერთჯერადი 300 ლარიანი კომპენსაციებისთვის) ხოლო 310,0 მლნ ლარამდე 2021 წელს, მათ შორის:
    - მოსახლეობისათვის კომუნალური გადასახადების სუბსიდირებისათვის განსაზღვრული ასიგნება შეადგენს 60.0 მლნ ლარი, 200,0 მლნ ლარამდე მიმართული იქნება 2020 წელს;
    - 65 000 – 100 000 ქულამდე სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარებისთვის 55,0 მლნ ლარამდე;
    - სოციალურად დაუცველი იმ ოჯახებისათვის, რომელთაც ყავთ 3 და მეტი 16 წლამდე შვილი - 15,0 მლნ ლარამდე;
    - შშმ ბავშვებისა და მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისათვის - 27.0 მლნ ლარი;

- 6 თვის მანძილზე 200 ლარიანი დახმარება პანდემიის გამო სამსახურიდან დათხოვილ პირებზე - 150.0 მლნ ლარი;

- გარდა ამისა, მიმდინარე წლის დეკემბერში ერთჯერადი 300 ლარიანი კომპენსაციები მიეცემათ იმ პირებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან იმ ობიექტებში, რომლებიც დამატებით შეზღუდვების გამო ვერ იფუნქციონირებენ. ამ მიზნით 2020 წელს მიიმართება დამატებით 30,0 მლნ ლარი.

- ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებული თანხა შეადგენს 430,0 მლნ ლარს, მათ შორის:

  - საშემოსავლო გადასახადის შეღავათი - 260,0 მლნ ლარი (დეკემბერი-მაისის თვეებში), 2021 წლის შემოსავლების ნაწილში დანაკლისი გათვალისწინებულია 220,0 მლნ ლარის ოდენობით;

  - ტურიზმის სექტორის ქონების გადასახადის შეღავათი - 45,0 მლნ ლარი;

  - სამშენებლო სექტორის მხარდაჭერის მიზნით იპოთეკური სესხების სუბსიდირება - 35,0 მლნ ლარი (2020 წელს მოქმედი პროგრამის გარდამავალი ხარჯი);

  - მცირე მეწარმეების საგრანტო დახმარება - 35,0 მლნ ლარი;

  - საკრედიტო-საგარანტიო ფონდი - 50,0 მლნ ლარი;

  - გარდა ამისა გაგრძელდება დღგ-ს ავტომატური დაბრუნება, რაც ბიზნესის ხელშემწყობი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ჯამში მოსალოდნელია რომ დაბრუნდება 1,0 მილიარდ ლარზე მეტი.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** ჯამური მაჩვენებელი 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 1 662.2 მლნ ლარით და განისაზღვრება 16 758.1 მლნ ლარის ოდენობით. მათ შორის:

- **შემოსავლები - 11 179.2 მლნ ლარი** (2020 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 966.5 მლნ ლარით, ხოლო ბიუჯეტის წინა წარდგენებთან შედარებით შემცირდა 105.7 მლნ ლარით);

  - **საგადასახადო შემოსავლები** შეადგენს 10 342.3 მლნ ლარს, რაც დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში გაზრდილია 1 363.3 მლნ ლარით, ხოლო ბიუჯეტის წინა წარდგენებთან შედარებით შემცირებულია 107.7 მლნ ლარით. მათ შორის:

    - ✓ **საშემოსავლო გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტთან შედარებით იზრდება 325.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 3 315.0 მლნ ლარით;
    - ✓ **მოგების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტთან შედარებით იზრდება 111.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 951.0 მლნ ლარის ოდენობით;
    - ✓ **დამატებული ღირებულების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტთან შედარებით იზრდება 592.9 მლნ ლარით და განისაზღვრება 4 347.3 მლნ ლარის ოდენობით;

- ✓ **აქციზის** საპროგნოზო მაჩვენებელი 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტთან შედარებით იზრდება 257.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 1 582.0 მლნ ლარის ოდენობით;
- ✓ **იმპორტის** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 77.0 მლნ ლარით (იზრდება 7.0 მლნ ლარით);
- ✓ **სხვა გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრება 70.0 მლნ ლარის ოდენობით.

➢ **სხვა შემოსავლების** პროგნოზი 2020 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით მცირდება 125.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 550.0 მლნ ლარის ოდენობით.

➢ **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 286,9 მლნ ლარით, მათ შორის:

- ✓ საბიუჯეტო გრანტების ფარგლებში მისაღები შემოსავლები შეადგენს 206.9 მლნ ლარს.
- ✓ საინვესტიციო გრანტები შეადგენს 50.0 მლნ ლარს (იზრდება 1.7 მლნ ლარით);
- ✓ სსიპ-ების მიერ კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად გადმოსარიცხი თანხები რჩება იგივე და შეადგენს 50.0 მლნ ლარს;

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა, იზრდება 60.0 მლნ ლარით და შეადგენს 150.0 მლნ ლარს**;**

- **ფინანსური აქტივების კლების** (სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი განისაზღვრება 150.0 მლნ ლარის ოდენობით (იზრდება 70.0 მლნ ლარით);

- **ვალდებულებების ზრდის** სახით მისაღები სახსრები განისაზღვრება 5 278.9 მლნ ლარის ოდენობით მათ შორის:
  - ➢ საინვესტიციო კრედიტების მაჩვენებელი შეადგენს 1 450.9 მლნ ლარს;
  - ➢ საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები კრედიტების მაჩვენებელი შეადგენს 2 171.0 მლნ ლარს.
  - ➢ ვალდებულებების ზრდაში ასევე ასახულია 1 657.0 მლნ ლარი, 2021 წელს გადასაფარი ევრობონდებისათვის ახლი ევრობონდების გამოშვება.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ვალების დაფარვისთვის 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 2 800,0 მლნ ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები)

სახელწიფო ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობა 2020 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებითბ იზრდება 2 460.7 მლნ ლარით და შეადგენს 18 384.5 მლნ ლარს (წინა წარდგენებთან შედარებით ასიგნებების მოცულობა იზრდება 1 313.1 მლნ ლარით). ჯამში ხარჯების მოცულობა 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით იზრდება 221.9 მლნ ლარით და შეადგენს 12 778.3 მლნ ლარს, მათ შორის 890 მლნ ლარზე მეტია გათვალისწინებული ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის და მისგან გამოწვეული კრიზისი საწინააღმდეგო ღონისძიებების დაფინანსებისთვის. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა სახელმწიფო პენსიის ინდექსაცია და მასწავლებელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად. სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილ ვერსიაში მხოლოდ ხარჯვით ნაწილში 892.0 მლნ ლარამდე გათვლისწინებულია 2021 წელს COVID-19-თან დაკავშირებული ანტიკრიზისული ღონისძიებებისათვის (ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით საშემოსავლო და ქონების

გადასახადის შეღავათის გათვალისწინებით შემოსავლების ნაწილში დანაკლისი შეადგენს 300.0 მლნ ლარამდე).

სამინისტროების მიხედვით გათვალისწინებულია:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები წინა წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 711.0 მლნ ლარით და შეადგენს 5 563.0 მლნ ლარს, რაც 2020 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 48.0 მლნ ლარით. სამინისტროს ბიუჯეტში ასახულია ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეულ პანდემიასთან დაკავშირებული ხარჯები 2021 წლისათვის. პროგრამების მიხედვით გათვალისწინებულია:

- ✓ **მოსახლეობის სოციალური დაცვა** - 3 839.9 მლნ ლარი, რაც ბიუჯეტის წინა წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 260.5 მლნ ლარით, მათ შორის:

  - საპენსიო უზრუნველყოფა - 2 600.0 მლნ ლარი წინა წარდგენებთან შედარებით არ შეცვლილა (2020 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 370.0 მლნ ლარით), რაც გამოწვეულია მათ შორის საპენსიო ასაკის მოსახლეობისათვის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო პენსიის ზრდის ინდექსაციის წესის შემოღებით, ეკონომიკურ პარამეტრებზე დაყრდნობით. კერძოდ, წარმოდგენილი კანონის პროექტით 2021 წლის პირველი იანვრიდან გათვალისწინებულია 70 წლამდე ასაკის პენსიონერებისთვის პენსიის ზრდა 20 ლარით და განისაზღვრება 240 ლარით, ხოლო 70 წლის ან მეტი ასაკის პენსიონერებისთვის პენსია იზრდება 25 ლარით და განისაზღვრება 275 ლარის ოდენობით.
    „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში მიმდინარე წელს შეტანილი ცვლილებების თანახმად განისაზღვრა, რომ 2021 წლიდან საპენსიო ასაკის მოსახლეობას სახელმწიფო პენსია გაეზრდება ყოველწლიურად, კანონმდებლობით დადგენილი ფორმულის მიხედვით, კერძოდ:
    ა) 70 წლამდე ასაკის პენსიონერებისათვის მიმდინარე წლის სახელმწიფო პენსია (220 ლარი) უნდა გაიზარდოს ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლით, მაგრამ არანაკლებ 20 ლარით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად აღნიშნული წესით გამოთვლილი პენსიის ზრდა შეადგენს 15 ლარს (13.9 ლარი დამრგვალებული უახლოეს 5-ის ჯერად რიცხვამდე), რაც კანონმდებლობით გათვალისწინებულ მინიმალურ ზრდაზე ნაკლებია, შესაბამისად 2021 წელს პენსია გაიზრდება 20 ლარით.
    ბ) 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერებისათვის მიმდინარე წლის სახელმწიფო პენსია (250 ლარი) უნდა გაიზარდოს ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლისა და ბოლო 6 კვარტლის რეალური ეკონომიკური ზრდის 80%-ის ჯამით, მაგრამ არანაკლებ 25 ლარით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად აღნიშნული წესით გამოთვლილი პენსიის ზრდა შეადგენს 20 ლარს (19.2 ლარი დამრგვალებული უახლოეს 5-ის ჯერად რიცხვამდე), რაც კანონმდებლობით გათვალისწინებულ მინიმალურ ზრდაზე ნაკლებია, შესაბამისად 2021 წელს პენსია გაიზრდება 25 ლარით.
    პენსიის ინდექსაციის ზრდის ეფექტი 2021 წლისათვის შეადგენს 210 მლნ ლარს, ასევე, გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ივლისის თვიდან 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონრების საპენსიო გასაცმლების 30 ლარით ზრდის წლიური ეფექტი და დემოგრაფიის გათვალისწინებით საპენსიო ასაკის მოსახლეობის ზრდის ეფექტი. გაიზრდება სახელმწიფო კომპენსაციიების მიმღებ პირთა კომპენსაციები, რომლებიც მიბმულია სახელმწიფო პენსიის ოდენობაზე (და არ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზედა ზღვარს).

- მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება - 816.0 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 8.4 მლნ ლარით, ხოლო დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით - 23.0 მლნ ლარით;
- სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში - 66.3 მლნ ლარი;
- ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო მოსახლეობის სოციალური დახმარებისთვის ბიუჯეტში აისახა დამატებით 250.0 მლნ ლარით და შეადგენს 310.0 მლნ ლარს:
  - COVID-19-თან დაკავშირებით მიმდინარე წელს დაწყებული სოციალური პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებების გაგრძელება. კერძოდ, მოსახლეობისათვის კომუნალური გადასახადების სუბსიდირებისათვის განსაზღვრული ასიგნება შეადგენს 60.0 მლნ ლარი;
  - 65 000 – 100 000 ქულამდე სოციალურად დაუცველი ოჯახების, ასევე სოციალურად დაუცველი იმ ოჯახებისათვის, რომელთაც ყავთ 3 და მეტი შვილი და შშმ ბავშვებისა და მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისათვის - 100.0 მლნ ლარი;
  - 6 თვის მანძილზე 200 ლარიანი დახმარება პანდემიის გამო სამსახურიდან დათხოვილ პირებზე - 150.0 მლნ ლარი;

✓ **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა** - 1 548.6 მლნ ლარი, რაც ბიუჯეტის წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 444.6 მლნ ლარით, ხოლო წინა წელთან შედარებით 182.3 მლნ ლარით. მათ შორის ზოგიერთი პროგრამების ასიგნება განისაზღვრა შემდეგი ოდენობებით:

- COVID-19-თან დაკავშირებული ჯანმრთელობის დაცვის სერვისებისათვის 400.0 მლნ ლარი იქნება მობილიზებული 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში;
- მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - 800.0 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 40.0 მლნ ლარით;
- იმუნიზაცია - 28.0 მლნ ლარამდე;
- ტუბერკულოზის მართვა - 17.2 მლნ ლარამდე;
- აივ ინფექციის/შიდსის მართვა - 14.1 მლნ ლარამდე;
- C ჰეპატიტის მართვა - 7.0 მლნ ლარი;
- ეპიდზედამხედველობა - 2.2 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენებთან შედარებით გაზრილია 500.0 ათასი ლარით;
- ფსიქიკური ჯანმრთელობა - 28.9 მლნ ლარი;
- დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია - 40.4 მლნ ლარი;
- პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა - 121.4 მლნ ლარი;
- რეფერალური მომსახურება - 25.0 მლნ ლარი;
- ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა - 12.2 მლნ ლარი;
- დიაბეტის მართვა - 16.0 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 1.0 მლნ ლარით

✓ **სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა** - 30.0 მლნ ლარი;

✓ **შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა** - 8.9 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 2.0 მლნ ლარით, ძირითადად შრომის ინსპექტირების ღონისძიებების ხელშეწყობისთვის;

✓ **იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა** - 71.8 მლნ ლარი;

ჯამში იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულ სახსრებთან ერთად გამოყოფილია 103.1 მლნ ლარი.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 2 421.6 მლნ ლარით, რაც წინა წარდგენასთან შედარებით შემცირებულია 50.0 მლნ ლარით (რესურსების COVID-19-ის პანდემიის მართვის მიმართულებით გადანაწილების საჭიროებიდან გამომდინარე), ამასთან ასიგნებები 2020 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 551.3 მლნ ლარით. 2021 წლისათვის საბიუჯეტო სახსრების ნაწილში გათვალისწინებულია 1 359.6 მლნ ლარი), გრანტებში გათვალისწინებულია 16.5 მლნ ლარამდე, კრედიტებში გათვალისწინებულია 995.5 მლნ ლარი. ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - 1 531.5 მლნ ლარი, მათ შორის :

- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (EIB, WB) – 60.0 მლნ ლარი;
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ხევი უბისას მონაკვეთის რეკონსტრუქცია - მშენებლობა (ADB) – 130.0 მლნ ლარი;
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის უბისა შორაპნის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (EIB) – 150.0 მლნ ლარი;
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის შორაპანი არგვეთას მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (ADB) – 40.0 მლნ ლარი;
- აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი (ზემო ოსიაური-რიკოთი) (EIB, WB) – 80.0 მლნ ლარი;
- სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 0-კმ 50 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობა (EIB, EU) – 65.0 მლნ ლარი;
- სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ48-კმ64 გრიგოლეთი-ჩოლოქის მონაკვეთის მშენებლობა (EIB) – 70.0 მლნ ლარი;
- ქ. ბათუმის ახალი შემოვლითი გზა (ADB, AIIB) – 80.0 მლნ ლარი;
- მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე საავტომობილო გზის და გვირაბის მშენებლობა (ADB, EBRD) – 80.0 მლნ ლარი;
- ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია - 80.0 მლნ ლარი;
- სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტის მიმართულებით საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა - 5.0 მლნ ლარი;
- ზემო იმერეთი (საჩხერე) - რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა - 35.0 მლნ ლარი;
- ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund) – 30.0 მლნ ლარი;
- ქუთაისის შემოვლითი საავტომობილო გზის მეორე ზოლის მშენებლობა - 15.0 მლნ ლარი;
- თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ბაკურციხე-წნორის მონაკვეთის მშენებლობა (ADB) – 13.0 მლნ ლარი;
- თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის კმ20-კმ50 ლოჭინი-საგარეჯოს მონაკვეთის მშენებლობა (EIB) – 55.0 მლნ ლარი.

✓ **რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია** - 244.4 მლნ ლარიმათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი პროექტების განხორციელებაზე:

- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები - 61.0 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 11.0 მლნ ლარით;
- საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (I ფაზა) (ADB) – 43.0 მლნ ლარი;

- რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB) – 30.0 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 5.0 მლნ ლარით;
- რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II (WB, WB-TF) – 27.4 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 2.4 მლნ ლარით;
- საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი (EIB) – 29.5 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენებთან შედარებით შემცირებულია 800.0 ათასი ლარით;
- ურბანული ტრანსპორტის განვითარების პროგრამა (EBRD) – 31.7 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 5.9 მლნ ლარით.
- სივრცითი დაგეგმარება და ურბანული განვითარება - 5.0 მლნ ლარი;
- ბაკურიანის მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესების პროგრამა (EBRD) – 4.9 მლნ ლარი.

✓ **წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია** - 348.7 მლნ ლარით, რაც წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 67.2 მლნ ლარით. მათ შორის 2021 წლის განმავლობაში განხორციელდება:

- ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (ADB) – 160.0 მლნ ლარი;
- რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებები - 145.0 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 75.0 მლნ ლარით;
- მდგრადი წყალმომარაგებისა და სანიტარული სექტორის განვითარების პროგრამა (ADB) – 15.0 მლნ ლარი;
- იმერეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში კომუნალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (KfW) – 5.0 მლნ ლარი;
- ქალაქ ხაშურის და მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების გაუმჯობესება (AFD) – 15.0 მლნ ლარი;
- ქუთაისის წყალარინების პროექტი (EIB, EPTATF) – 7.5 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 6.0 მლნ ლარით.

✓ **მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა** - 41.0 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 11.0 მლნ ლარით;

✓ **ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია** - 169.1 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია, 4.1 მლნ ლარით;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფარგლებში არსებული დაფინანსების გათვალისწინებით ჯამურად ამ მიმართულებით მიიმართება 203.0 მლნ ლარზე მეტი.

✓ **იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა** - 31.3 მლნ.

სულ დევნილთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფისა და მიგრანტთა ხელშეწყობისათვის გამოყოფილია ჯამურად 103.1 მლნ ლარი.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 1 802.6 მლნ ლარით, რაც 2020 წლის დამტკიცებულ ასიგნებას აღემატება 263.8 მლნ ლარით, ხოლო წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 64.5 მლნ ლარით. მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი პროგრამების განხორციელებაზე:

- ✓ სკოლამდელი და ზოგადი განათლება - 1 029.5 მლნ ლარი, რაც წინა წლის დამტკიცებულ ასიგნებასთან შედარებით გაზრდილია 122.6 მლნ ლარით, ხოლო წინა წარდგენებთან შედარებით - 22.0 მლნ ლარით; მათ შორის გათვალისწინებულია:
    - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება - 894 მლნ ლარი, რაც 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 106.0 მლნ ლარით, ხოლო ბიუჯეტის წინა წარდგენებთან შედარებით 14.0 მლნ ლარით და გათვალისწინებულია სტატუსის მქონე მასწავლებელების სახელფასო დანამატის ზრდა 100 ლარით 2021 წლის იანვრიდან;
    - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა - 10.3 მლნ ლარამდე, რაც წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 1.0 მლნ ლარით;
    - უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა - 18.8 მლნ ლარამდე;
    - წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება - 985.0 მლნ ლარი;
    - განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა - 240.0 მლნ ლარი;
    - მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა - 26.3 მლნ ლარი;
    - საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა - 13.6 მლნ ლარამდე, რაც წინა წარდგენებთან შედარებით შემცირებულია 10.0 მლნ ლარით;
    - პროგრამა "ჩემი პირველი კომპიუტერი" – 43.0 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 10.0 მლნ ლარით და სხვა;
- ✓ პროფესიული განათლება - 62.5 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 10.0 მლნ ლარით;
- ✓ უმაღლესი განათლება - 153.4 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 6.2 მლნ ლარით, ხოლო 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით - 11.4 მლნ ლარით;
- ✓ მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - 65.5 მლნ ლარი;
- ✓ ინკლუზიური განათლება - 27.1 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენებთან შედარებით 3.4 მლნ ლარით;
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება - 137.8 მლნ ლარი. მათ შორის:
    - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება - 34.0 მლნ ლარზე მეტი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულ ასიგნებებთან ერთად გათვალისწინებულია 203.0 მლნ ლარზე მეტი);
    - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება - 25.0 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 7.0 მლნ ლარით;
    - უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება - 20.0 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 15.0 მლნ ლარით;
    - კულტურაში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერა - 8.0 მლნ ლარი;
    - სპორტში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერა - 46.9 მლნ ლარზე მეტი, რაც წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 10.0 მლნ ლარით;
- ✓ სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა - 6.8 მლნ ლარი;
- ✓ კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 69.5 მლნ ლარი;
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა - 30.2 მლნ ლარამდე;
- ✓ მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია - 122.4 მლნ ლარი. აღნშნული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია 2021 წელს ოლიმპიადაში ქართველი სპორტსმენების მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ✓ კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებები - 17.1 მლნ ლარი.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 463.6 მლნ ლარს, რაც ბიუჯეტის წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 47.8 მლნ ლარით. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ✓ სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა - 29,9 მლნ ლარი;
- ✓ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება - 61.8 მლნ ლარი, მათ შორის რთველის ხელშეწყობისთვის 50,4 მლნ ლარი;
- ✓ ერთიანი აგროპროექტი - 206,7 მლნ ლარზე მეტი. მათ შორის:
  - შეღავათიანი აგროკრედიტები - 115.0 მლნ ლარი;
  - აგროდაზღვევა - 9.0 მლნ ლარი;
  - დანერგე მომავალი - 18.0 მლნ ლარი;
  - აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა - 20.6 მლნ ლარამდე;
- ✓ სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია - 90.7 მლნ ლარი
- ✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობა - 16.9 მლნ ლარი;
- ✓ დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა - 15.2 მლნ ლარამდე;
- ✓ სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა - 8.0 მლნ ლარამდე;
- ✓ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა - 2.1 მლნ ლარი;

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გათვალისწინებულია 469.8 მლნ ლარი, რაც ბიუჯეტის წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 113.3 მლნ ლარით. მათ შორის გათვალისწინებულია:

- ✓ დამატებით 85.0 მლნ ლარი ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე ეკონომიკის ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში და ჯამურად შეადგენს აღნიშნული მიმართულებით დაფინანსება შეადგენს 120.0 მლნ ლარს, მათ შორის 35.0 მლნ ლარი მცირე გრანტებისთვის, 50.0 მლნ ლარი საკრედიტო-საგარანტიო სქემის დასაფინანსებლად, ხოლო 35.0 მლნ ლარი სამშენებლო სექტორის მხარდაჭერისთვის (2020 წელს დაწყებული პროგრამებით გათვალისწინებული ვალდებულებების გათვალისწინებით);
- ✓ 50 მლნ ლარი ახალი კორონოვირუსის მართვასთან დაკავშირებული კარანტინის ხარჯებისათვის.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 88.9 მლნ ლარს;

იუსტიციის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 246.5 მლნ ლარი, მათ შორის მიწის რეგისტრაციის ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებულია 30,4 მლნ ლარი, პენიტენციური სისტემის მართვისთვის 156.5 მლნ ლარზე მეტი, ხოლო იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობის პროგრამის დაფინანსებისათვის - 16.5 მლნ ლარის ოდენობით.

საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 174.2 მლნ ლარი, რაც ბიუჯეტის წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 18.2 მლნ ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების დაფინანსების გაზრდით, ასევე დამატებით 2.0 მლნ ლარი გათვალისწინებულია დიასპორული პოლიტიკის მიმართულებით ლევილის მამულის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებასთან;

თავდაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 900.0 მლნ ლარი;

ამასთან გასათვალისწინებლია, რომ NATO-ს ქვეყნების თავდაცვის ხარჯების კლასიფიკატორის მიხედვით[1] თავდაცვის მიმართულებით სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების მიერ მისამართი სახსრები (შინაგანი ჯარის და საზღვრის დაცვის პერსონალის ხარჯების, საპენსიო შენატანების, თავდაცვის ძალებიდან დათხოვნილ პირთა კომპენსაციების და სხვა NATO-ს კლასიფიკატორით განსაზღვრული შესაბამისი ხარჯების გათვალისწინებით) აღწევს 1 100.0 მლნ ლარს, რაც 2021 წლისათვის პროგნოზირებული მშპ-ის 2%-ს შეადგენს.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 790.0 მლნ ლარი;

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 137.5 მლნ ლარი;

საქართველოს პროკურატურისთვის გათვალისწინებულია 41.4 მლნ ლარი;

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის გათვალისწინებულია 60.4 მლნ ლარი;

სახალხო დამცველის აპარატისთვის გათვალისწინებულია 8.5 მლნ ლარი, მათ შორის გათვალისწინებულია სახალხო დამცველის აპარატის ადმინისტრაციული ოფისის მშენებლობისთვის საჭირო ხარჯები;

იურიდიული დახმარების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 7.3 მლნ ლარი;

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის გათვალისწინებულია 9.0 მლნ ლარი;

სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოსთვის გათვალისწინებულია 4.2 მლნ ლარი;

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დაფინანსება შეადგენს 2.7 მლნ ლარს.

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მთლიანი მოცულობა შეადგენს 4 793.3 მლნ ლარს:

- ✓ საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 3 148.0 მლნ ლარი, მათ შორის გათვალისწინებულია ევრობონდის დაფარვის ხარჯები;
- ✓ საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 570.0 მლნ ლარი;
- ✓ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი - 50.0 მლნ ლარი;
- ✓ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 20.0 მლნ ლარი;
- ✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 280.0 მლნ ლარი;
- ✓ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი - 20.0 მლნ ლარი;
- ✓ დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება - 220.0 მლნ ლარი;
- ✓ საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა - 35.0 მლნ ლარი;
- ✓ დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელებისთვის გათვალისწინებულია 219.9 მლნ ლარამდე. მათ შორის:
    - ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - IV ფაზა (KfW) – 15.0 მლნ ლარი;
    - აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი (EBRD, SIDA) – 8.8 მლნ ლარი;
    - ბათუმის ავტობუსების პროექტი (E5P, EBRD) – 8.8 მლნ ლარზე მეტი;
    - თბილისის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD) – 30.0 მლნ ლარი;
    - აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, საქართველო (EU, KfW) – 12.3 მლნ ლარი;
    - თბილისის ავტობუსების პროექტი (ფაზა II) (EBRD) – 145.0 მლნ ლარი.

[1] NATO საჯარო დიმპლომატიის სამმართველოს 2019 წლის 29 ნოემბრის PR/CP(2019)123 კომუნიკე "NATO-ს ქვეყნების თავდაცვის ხარჯები (2013-2019)
https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2019_11/20191129_pr-2019-123-en.pdf

- ✓ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები - 225.0 მლნ ლარი, მათ შორის თბილისის ბიუჯეტისთვის გათვალისწინებულია 175,0 მლნ ლარი.

მუნიციპალიტეტების მიერ დღგ-ის სახით მისაღები შემოსავლები პროგნოზირებულია 1 019.7 მლნ ლარის (დღგ-ის 19%) ოდენობით და ნაწილდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) პროგნოზის განაწილების შედეგად მუნიციპალიტეტების მიერ მისაღები შემოსავლების განაწილება:

მუნიციპალიტეტების დასახელება	**დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება**	
	დღგ-ის 19%-ის განაწილება	**დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	45.32%	462,129.4
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	4.21%	42,888.8
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	1.22%	12,409.1
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	0.84%	8,550.4
ქედის მუნიციპალიტეტი	0.80%	8,149.5
შუახევის მუნიციპალიტეტი	0.03%	333.4
ხულოს მუნიციპალიტეტი	0.28%	2,894.2
ახმეტის მუნიციპალიტეტი	0.86%	8,783.5
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	1.13%	11,482.3
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	0.18%	1,847.1
თელავის მუნიციპალიტეტი	1.42%	14,461.6
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	1.04%	10,580.3
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	1.03%	10,477.3
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	0.49%	5,027.4
ყვარლის მუნიციპალიტეტი	0.54%	5,463.3
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	3.48%	35,480.5
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	0.98%	9,995.2
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	0.47%	4,805.1
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	1.03%	10,511.5
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	0.56%	5,700.9
ვანის მუნიციპალიტეტი	0.58%	5,864.1
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	1.15%	11,719.9
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	0.81%	8,239.1
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	0.92%	9,346.3
საჩხერის მუნიციპალიტეტი	1.21%	12,373.0
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	0.54%	5,528.4
ხონის მუნიციპალიტეტი	0.56%	5,701.4
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	0.44%	4,532.7
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	2.42%	24,656.9
აბაშის მუნიციპალიტეტი	0.51%	5,234.7
მარტვილის მუნიციპალიტეტი	0.81%	8,215.3
მესტიის მუნიციპალიტეტი	0.44%	4,463.2
სენაკის მუნიციპალიტეტი	0.86%	8,730.3
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	0.55%	5,596.5
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	0.63%	6,454.8
ხობის მუნიციპალიტეტი	0.43%	4,334.6
გორის მუნიციპალიტეტი	3.24%	33,006.1

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება	
	დღგ-ის 19%-ის განაწილება	დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა
კასპის მუნიციპალიტეტი	0.74%	7,579.0
ქარელის მუნიციპალიტეტი	1.03%	10,518.1
ხაშურის მუნიციპალიტეტი	1.29%	13,155.3
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	2.82%	28,759.2
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	0.11%	1,167.0
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	0.25%	2,500.8
დმანისის მუნიციპალიტეტი	0.65%	6,587.3
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	0.65%	6,659.7
მარნეულის მუნიციპალიტეტი	1.52%	15,511.0
წალკის მუნიციპალიტეტი	0.18%	1,873.2
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	0.74%	7,520.3
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	1.45%	14,818.6
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	0.40%	4,030.2
ადიგენის მუნიციპალიტეტი	0.56%	5,735.9
ასპინძის მუნიციპალიტეტი	0.09%	883.6
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	0.09%	866.9
ახალციხის მუნიციპალიტეტი	1.13%	11,521.8
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	0.13%	1,300.4
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	0.36%	3,719.0
დუშეთის მუნიციპალიტეტი	0.63%	6,433.4
თიანეთის მუნიციპალიტეტი	0.54%	5,496.3
მცხეთის მუნიციპალიტეტი	0.54%	5,510.0
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	0.01%	116.7
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	0.67%	6,829.9
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	0.38%	3,831.4
ონის მუნიციპალიტეტი	0.45%	4,586.4
ცაგერის მუნიციპალიტეტი	0.61%	6,250.4
სულ ჯამი	**100%**	**1,019,730.00**

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	დასახელება	სულ 2021 წლის პროექტი
	სულ ჯამი	**18,384,507.8**
	სამინისტროები	**12,872,805.0**
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	88,900.0
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	469,815.0
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2,371,630.0
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	246,500.0
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	5,563,030.0
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	174,200.0
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	900,000.0

პროგრამული კოდი	დასახელება	სულ 2021 წლის პროექტი
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	790,000.0
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	463,575.0
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	1,802,605.0
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	2,550.0
	სხვა უწყებები	**718,402.8**
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	64,736.0
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	6,250.0
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	700.0
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	16,000.0
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	16,811.0
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	70,255.8
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	4,250.0
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	12,500.0
09 00	საერთო სასამართლოები	86,000.0
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	6,500.0
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	890.0
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	680.0
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	790.0
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	760.0
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	650.0
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	640.0
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	650.0
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	880.0
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	660.0
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	137,500.0
21 00	სსიპ - საპენსიო სააგენტო	3,400.0
33 00	საქართველოს პროკურატურა	41,400.0
34 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	13,800.0
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1,400.0
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	7,300.0
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	7,900.0

პროგრამული კოდი	დასახელება	სულ 2021 წლის პროექტი
38 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2,150.0
39 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	260.0
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	60,400.0
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	8,500.0
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	69,200.0
43 00	სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო	2,400.0
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	2,460.0
45 00	საქართველოს საპატრიარქო	25,000.0
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	7,000.0
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	10,120.0
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	4,250.0
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1,430.0
50 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	5,330.0
51 00	სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	9,000.0
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	450.0
53 00	სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	250.0
54 00	სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო	4,200.0
55 00	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	2,700.0
56 00	**საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები**	**4,793,300.0**
56 01	საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	3,148,000.0
56 02	საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	570,000.0
56 03	საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები	4,500.0
56 04	ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები	225,000.0
56 05	საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	50,000.0
56 06	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	20,000.0
56 07	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	280,000.0
56 08	მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	20,000.0
56 09	საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის ფინანსური უზრუნველყოფა	200.0
56 10	საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საოპერაციო ხარჯებისა და სხვა ვალდებულებების თანადაფინანსება	700.0
56 11	დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება	220,000.0
56 12	საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა	5,000.0
56 13	დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები	219,900.0

პროგრამული კოდი	დასახელება	სულ 2021 წლის პროექტი
56 14	2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსება მუნიციპალიტეტებში	30,000.0

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 2 085.8 მლნ ლარი, საიდანაც ვალების მომსახურება შეადგენს 883,0 მლნ ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება 400,0 მლნ ლარს;*
- *თავდაცვა - 942.3 მლნ ლარი;*
- *საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 1 295.7 მლნ ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 2 559.9 მლნ ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 123.7 მლნ ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 200.7 მლნ ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 1 665.0 მლნ ლარი;*
- *დასვენება, კულტურა და რელიგია - 360.6 მლნ ლარი;*
- *განათლება - 1 709.1 მლნ ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 4 232.6 მლნ ლარი;*

ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

- ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (2021-2024 წლები);
- 2021-2024 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები (როგორც საბაზო, ასევე ოპტიმიტური და პესიმისტური სცენარები). აღნიშნული ინფორმაცია მოიცავს ნაერთი ბიუჯეტის და სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის ფისკალურ მაჩვენებლებს და სცენარების აღწერა;
- ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების განახლებული საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება წინა პროგნოზებთან და ფისკალური პარამეტრების კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრებში დაბრუნების გეგმა;
- პროგრამული ბიუჯეტის დანართი;
- კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
- ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ, მათ შორის მაკროეკონომიკური სცენარების შედარება და სახელმწიფო საწარმოების ანალიზი;
- ინფორმაცია სახელმწიფო ვალის შესახებ;
- მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი (2020-2029 წლები);
- საგადასახადო დანახარჯების ანალიზი;
- საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის რეკომენდაციების მატრიცა

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

პროექტი სრულად ასახავს ხელისუფლების მიერ შემუშავებულ ანტიკრიზისული გეგმის მიხედვიტ განსაზღვრულ ღონისძიებებს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია კანონის გამოქვეყნებისთანავე.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი სამი წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულ ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონის პროექტი ვრცელდება 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ბენეფიციარებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებს. აგერეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადებისათვის გამოყენებული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებულ პროგრამასთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა